დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109240887**

თარიღი:**28/03/2024**

სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე'' ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 14 მარტის №108-1082407440 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, ქ. დმანისში გორგასლის ქუჩაზე მდებარე 1196.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №82.01.43.007 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი